კონსტრუქციული დასკვნა

საკვლევი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში აბანოს ქ.#2-ში (ყოფილი ერეკლეს აბანო) და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

აბანოს კედლები, კამარული და ნახევარსფერული გადახურვები აგურით არის ნაშენი. სხვადასხვა ფორმისაა კამარებისა და ნახევარსფეროს ცენტრში მოწყობილი სასინათლო ღიობების ნაშვერები. რკინაბეტონია ნახმარი ანტრესოლში.

აბანო ხეობის ტაფობზეა გამართული. მას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წაგრძელებული, ოდნავ ტრაპეციული გეგმარება აქვს. აბანოს შესასვლელი მოწყობილია ჩრდილოეთ მოკლე გვერდზე, მოკლე და ვიწრო ჩიხური შესასვლელის მხრიდან.

ჩრდილოეთიდან შესასვლელის შემდეგ წაგრძელებული დერეფანია, რომელიც სოლისებურად ვითარდება ბოლომდე და მის გაყოლებით დასავლეთიდან ჩამწკრივებულია საკუთრივ აბანოს სათავსოები. სამი ორსათავსოიანი აბანოს ნომერი და ბოლოში ოთხსათავსოიანი. სამხრეთ ფლანგზე ამოზრდილია ამ ნომრის მოზრდილი დარბაზის ნახევასფერული გუმბათი, სასინათლო ღიობებით. დანარჩენი სათავსოების გადახურვები კი სხვადასხვა ფორმის მოცულობებით ვლინდება სივრცეში. მოზრდილი გუმბათის ჩრდილოეთით კიდევ სამი მომცრო კამაროვანი ოვალია ამოზრდილი. ანტრესოლის გადახურვა თარაზულია.

აბანოს ინტერიერი დასავლეთ ნაწილში ერთდონიანია, აღმოსავლეთით კი მთელ სიგრძეზე წაგრძელებული ანტრესოლია მოწყობილი სამეურნეო საქმიანობისათვის. რომელშიც დერეფნის ბოლოში მოწყობილი ორმარშიანი რკინის კიბით ავდივართ. ორი დამხმარე მართკუთხა სათავსოა მოწყობილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.

დაგეგმილი ერთ-ერთი სარეაბილიტაციო ღონისძიება მოიცავს შემდეგ სამუშაოებს, უნდა მოიხსნას არსებული რკინაბეტონის ანტრესოლი და მოეწყობა აგურის კამარული გადახურვა.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის შესაბამისად ხდება ჩრდილოეთის ფასადზე სამი არსეუბლი ამოქოლილი ფანჯარის გახსნა. ასევე გათვალისწინებულია ფასადების გაწმენდა გამარილებისაგან, სახურავზე არსებული სავენტილაციო ფანჩატურების (3 ცალი) გადაწყობა და დაშლილი საფასადე აგურის წყობის აღდგენა. დერეფნის ბოლოში ხვეული რკინის კიბის ნაცვლად ეწყობა ორმარშიანი რკინის კიბე.

აღსანიშნავია, რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად აბანოს კედლებს და გადახურვის სიბრტყეებს არ აღენიშნება ჯდენითი ან რაიმე სხვა სახის დეფორმაცია. მზიდი კონსტრუქციები საღია და ჯანმრთელია.

პროექტის კორექტირებით ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები, აბანოს ელემენტების (საძირკვლის, კედლების და ა.შ.) მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნის.

კონსტრუქტორი: დავით ბოსტოღანაშვილი

22.11.2021 წელი